საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ანა ლორია - კოლეგიის თავმჯდომარე

ბესიკ ქარცივაძე - კოლეგიის წევრი

ნათია ჩიტაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: გიორგი ფცქიალაძე

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 19.05.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 036/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ზურაბ ელიაშვილის /სიითი №6014/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ზურაბ ელიაშვილისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2022 წლის 19 მაისს საჩივრით მომართა გიორგი ფცქიალაძემ და მოითხოვა ადვოკატ ზურაბ ელიაშვილისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ზურაბ ელიაშვილს 2020 წლის 04 დეკემბერს მისცა მინდობილობა. ადვოკატი უნდა დახმარებოდა იმ სახლის გადაფორმებაში, რომელიც მან იყიდა 1998 წელს და არ ჰქონდა თავის სახელზე აღრიცხული. სახლის მისამართია ხაშური, ჭონქაძის ქ. N80. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს შეუთანხმდა, რომ მომსახურების ჰონორარს გადაუხდიდა მას შემდეგ, რაც სახლი მის სახელზე დარეგისტრირდებოდა და სახლს გაყიდდა. მართალია ადვოკატს არ უთქვამს, თუმცა მომსახურების ჰონორარის სახით მომჩივანი ვარაუდობდა 1000 ლარს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, სახლის ყიდვის დროს შუამავალი იყო სახლის მეპატრონის დედა - ლამარა ხარაზიშვილი. სახლის საყიდლად მას გადახდილი აქვს 2.850 აშშ დოლარი და კიდევ უნდა გადაეხადა 150 აშშ დოლარი მას შემდეგ, რაც სახლს გაიფორმებდა. სადავო სახლის ნახევარი ეკუთვნოდა ნუნუ ხარაზიშვილს და ნახევარი მამამისს, რომელიც იყო ახალი გარდაცვლილი. მომჩივანი განმარტავს, რომ ამ სახლის თანხა ვერ გაიყვეს ნუნუ ხარაზიშვილმა და დედამისმა, მათ შორის მოხდა კონფლიქტი. ამის გამო, მომჩივანმა სახლის დარეგისტრირება ვერ შეძლო. ამის შემდეგ გიორგი ფცქიალაძესთან მივიდა პიროვნება - გოჩა გელაშვილი, რომელმაც სთხოვა, რომ სახლი მისთვის მიეყიდა (სახლის სტრატეგიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე). მომჩივანმა განუმარტა, რომ სახლს არ ყიდდა, თუმცა გოჩა გელაშვილის დიდი სურვილის შედეგად, მოილაპარაკეს, რომ სახლს გაყიდდა 42.000 აშშ დოლარად, მას შემდეგ, რაც დაირეგისტრირებდა. გოჩა გელაშვილმა ურჩია სახლის რეგისტრაციაში დასახმარებლად აეყვანა ადვოკატი ზურაბ ელიაშვილი. გიორგი ფცქიალაძე მივიდა ზურაბ ელიაშვილთან და აუხსნა საქმის ვითარება. ადვოკატმა მისგან დაიტოვა მინდობილობა, გააკეთებინა სახლის აზომვითი ნახაზი და უთხრა, რომ დაუკავშირდებოდა. საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ მან ადვოკატს შესთავაზა საქმე ეწარმოებინათ სასამართლოშიც, თუმცა ადვოკატმა განუმარტა, რომ სასამართლოში საქმის წარმოება დიდი თანხა დაუჯდებოდათ, დაახლოებით 4000-6000 ლარამდე.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ზურაბ ელიაშვილმა მისი სახელით შეიტანა განცხადება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და განცხადებით მოითხოვა ხაშურის გამგეობაში არსებულ აღიარების კომისიაში დოკუმენტაციის გადაგზავნა. განცხადებაში მოტივაციად მითითებული იყო, რომ თითქოს გიორგი ფცქიალაძემ და მისმა მეუღლემ აღნიშნული სახლი დაიკავეს თვითნებურად და ითხოვდნენ სახლის საკუთრებად აღიარებას. მომჩივანი განმარტავს, რომ როდესაც მან ამის შესახებ შეიტყო, ადვოკატს მოსთხოვა უკან გამოეტანა ეს განცხადება, რადგან მას სახლი რეალურად ჰქონდა ნაყიდი. ადვოკატმა განუმარტა, რომ ეს იყო მისი სტრატეგია, რადგან აღიარების კომისია დაეხმარებოდათ საბუთების მოძიებაში და ამით მომჩივანს დააზოგინა საბუთების მოძიების თანხა, დაახლოებით 300-400 ლარი.

1.5 საქმის წარმოების პროცესში გიორგი ფცქიალაძემ შეიტყო, რომ ზურაბ ელიაშვილი და ნუნუ ხარაზიშვილი იყვნენ თანაკლასელები. ადვოკატმა განუმარტა, რომ მოიპოვებდა ნუნუ ხარაზიშვილის ნომერს და თავად დაუკავშირდებოდა მას, რადგან გიორგი ფცქიალძეს ჰქონდა ნეგატიური გამოცდილება - ნუნუ ხარაზიშვილი მას არ ესაუბრებოდა. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, მომჩივანმა შეიტყო, რომ 2021 წლის 10 მარტს მის ადვოკატს ნუნუ ხარაზიშვილისაგანაც მიუღია მინდობილობა. ადვოკატმა გოჩა გელაშვილიც წაიყვანა ნუნუ ხარაზიშვილთან მოსალაპარაკებლად. ადვოკატმა მინდობილობა მიიღო მომჩივანის მოწინააღმდეგე მხარისაგან - სახლის გამყიდველის - ნუნუ ხარაზიშვილისაგან და დაიწყო სამემკვიდრეო საქმის მოგვარება ისე, რომ მას არაფერს ეკითხებოდა და ინფორმაციას არ აწვდიდა. ადვოკატის საქმიანობის შედეგად, 2021 წლის 26 მაისს, სამკვიდრო ქონება საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ნუნუ ხარაზიშვილის სახელზე. მომჩივანის განმარტებით, 2021 წლის აპრილში ან მაისში გოჩა გელაშვილმა მას უთხრა, რომ ზურაბ ელიაშვილი ითხოვდა 4.000 აშშ დოლარს, ამ თანხიდან 1.000 დოლარს თავად ადვოკატი ითხოვდა ჰონორარის

სახით და 3.000 აშშ დოლარს ითხოვდა ნუნუ ხარაზიშვილი. მომჩივანმა ეს ინფორმაცია გადაამოწმა ნუნუ ხარაზიშვილთან, რომელმაც განუმარტა, რომ ამ თანხას არ ითხოვდა, თუ სასამართლო ოფიციალურად მიაკუთვნებდა, მაშინ აიღებდა თანხას. მომჩივანი განმარტავს, რომ ადვოკატმა შეცვალა პოზიცია და განუმარტა, რომ ნუნუ ხარაზიშვილი თანხას აღარ ითხოვდა მას შემდეგ, რაც მისი ვარაუდით, ნუნუ ხარაზიშვილი თავად დაუკავშირდა ადვოკატს და მოსთხოვა პასუხი იმაზე, თუ რატომ ითხოვდა ადვოკატი მისი სახელით თანხას გიორგი ფცქიალაძისაგან.

1.6 საჩივრის ავტორის პოზიციით, მას შემდეგ რაც მან შეიტყო, რომ ადვოკატი მოქმედებდა ნუნუ ხარაზიშვილის ინტერესებისათვის, 2021 წლის 10 მაისს მასთან გააუქმა მინდობილობა. მისი ინფორმაციით, ადვოკატის ჩართულობით მოილაპარაკეს, რომ მისგან მალულად გაეყიდათ სახლი.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2021 წლის 25 ივნისს ჰქონდა ბოლო კონტაქტი ადვოკატთან და ჰკითხა სახლს უფორმებდა თუ არა, ადვოკატმა უპასუხა, რომ მასთან ჰქონდა 2 წინადადება, ერთი კარგი და ერთი ცუდი. კარგი ის იყო, რომ შეეძლო სახლი გაეყიდა და თანხის ნახევარი მიეტანა სახლის მფლობელისათვის; ხოლო, ცუდი ვარიანტი იყო ის, რომ სახლი საერთოდ დაეკარგა. ეს წინადადება მომჩივანმა აღიქვა, როგორც მუქარა და მან ეს განაცხადა ქ. ხაშურის პოლიციის განყოფილებაში, თუმცა მისი განცხადების ფორმულირება მოახდინა იმ პირმა, ვინც აწერინებდა და განცხადებაში არ ჩააწერინეს პრეტენზიები ადვოკატის მიმართ.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2021 წლის 14 ივლისს ადვოკატმა, როგორც ნუნუ ხარაზიშვილის წარმომადგენელმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში, სადაც უთითებდა არასწორ ფაქტებს, თითქოს გიორგი ფცქიალაძე და მისი მეუღლე ნინო გრიგალაშვილი ამდენი ხნის განმავლობაში ამ მისამართზე ცხოვრობდნენ ქირით და ითხოვდა მათ გამოსახლებას. მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება გიორგი ფცქიალაძის ოჯახის გამოსახლების შესახებ, შედეგით კმაყოფილმა ზურაბ ელიაშვილმა მოსამართლეს მიუთითა, რომ გიორგი ფცქიალაძე გამოესახლებინათ დაუყოვნებლივ, თუმცა მოსამართლემ განმარტა, რომ ეს მოთხოვნა თავიდანვე უნდა დაეყენებინათ. ამჟამად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო წესით.

1.9 2022 წლის 29 სექტემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ ადვოკატს მისგან მიღებული ინფორმაცია მიჰქონდა ნუნუ ხარაზიშვილთან. საჩივრის ავტორის განმარტებით, პირადად მას ადვოკატისათვის არ უთქვამს სახლის გასაყიდი ფასი. თუმცა ადვოკატს ეს ინფორმაცია მიაწოდა გოჩა გელაშვილმა, ადვოკატმა კი ინფორმაცია გადასცა ნუნუ ხარაზიშვილს.

1.10 2022 წლის 12 ოქტომბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატის კითხვის პასუხად, საჩივრის ავტორმა დააკონკრეტა, რომ ადვოკატს გადასცა მინდობილობის დამოწმებისა და შემდეგ გაუქმების დოკუმენტი და სახლის აზომვითი ნახაზის დისკი, რაც მისგან უკან აღარ მიუღია.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ზურაბ ელიაშვილმა 2022 წლის 27 მაისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება. ადვოკატის მითითებით, 2020 წლის 1 დეკემბერს მასთან მივიდა

გიორგი ფცქიალაძე, რომელმაც სთხოვა სამართლებრივად დახმარებოდა ქ. ხაშურში, ჭონქაძის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლის მის სახელზე რეგისტრაციაში. ადვოკატმა მოისმინა კლიენტის სამართლებრივი პრობლემა და სთხოვა რწმუნებულების გაფორმება. გიორგი ფცქიალაძემ 2020 წლის 4 დეკემბერს გაუფორმა რწმუნებულება.

2.2 საქმის წარმოების პროცესში გაირკვა, რომ სახლი ეკუთვნოდა ადვოკატის კლასელს ნუნუ ხარაზიშვილს. ადვოკატმა ამის შესახებ აცნობა გიორგი ფცქიალაძეს და დაუკავშირდა ნუნუ ხარაზიშვილს, რომელმაც განუმარტა, რომ გიორგი ფცქიალაძესთან გარკვეული ქონდა სახლის გადაფორმების პირობები და სთხოვა დახმარებოდა მემკვიდრეობის მიღებაში და მას შემდეგ, როდესაც გიორგი ფცქიალაძე გადაუხდიდა სახლის საბაზრო ღირებულებას, მემკვიდრეობით მიღებულ სახლს გადაუფომებდა გიორგი ფცქიალაძეს. ნუნუ ხარაზიშვილმა 2021 წლის 10 მარტს ნოტარიულად მიანიჭა მას უფლებამოსილება ეწარმოებინა მისი საქმე მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებით. ადვოკატი განმარტავს, რომ მოიძია დოკუმენტები, იმუშავა და სახლი გადაფორმდა ნუნუ ხარაზიშვილის სახელზე.

2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ მომჩივანის სახელით მიმართა აღიარების კომისიას და მოითხოვა უკანონოდ დაკავებული ფართის ლეგალიზება, ამის შესახებ გიორგი ფცქიალაძეს ჰქონდა ინფორმაცია. გიორგი ფცქიალაძეს საჯარო რეესტრში განუმარტეს, რომ საქმე გადაცემული იყო აღიარების კომისიისთვის, რომელიც იხილავდა თვითნებურად დაკავებული სახლის დაკანონების საკითხს. ფრაზამ „თვითნებურად დაკავებული“ - გიორგი ფცქიალაძე შეაშინა, რადგან მან განმარტა, რომ სახლი შეძენილი ჰქონდა ნუნუ ხარაზიშვილის დედისაგან. გიორგი ფცქიალაძემ თავად გამოიტანა საბუთები აღიარების კომისიისგან. ამ დროს მათ შორის არ იყო დაძაბულობა. ადვოკატმა განმარტა, რომ ის დაუკავშირდა ნუნუ ხარაზიშვილს, რომლისგანაც მიიღო ინფორმაცია, რომ გიორგი ფცქიალაძე მის სახლში ცხოვრობდა წლების განმავლობაში და რომ დედამისმა - ლამარა ხარაზიშვილმა აიღო მისგან გარკვეული თანხა, მას უნდოდა დაესრულებინა გიორგი ფქციალაძესთან ურთიერთობა და ადვოკატს უთხრა ემოქმედა ისე, რომ კმაყოფილი დარჩენილიყო თავადაც და გიორგი ფცქიალაძეც. ამისათვის ადვოკატს ქონება უნდა დაერეგისტრირებინა ნუნუ ხარაზიშვილის სახელზე, რომელიც შემდეგ ამ ქონებას გადასცემდა გიორგი ფცქიალაძეს. ნუნუ ხარაზიშვილისა და გიორგი ფცქიალაძის ინტერესი იყო თანმხვედრი. ადვოკატმა განმარტა, რომ ის ამ საქმეში იყო შუამავალი და ეხმარებოდა მხარეებს.

2.4 ადვოკატის განმარტებით, გიორგი ფცქიალაძე ცდილობდა ადვოკატი შეეყვანა შეცდომაში და ნუნუ ხარაზიშვილთან შეთანხმების მიხედვით სათანადო (საბაზრო ღირებულების) ანაზღაურების გადახდის გარეშე, ადვოკატს გაეფორმებინა მისთვის უძრავი ქონება, რაზეც მან საქმის კურსში ჩააყენა ქონების მფლობელი ნუნუ ხარაზიშვილი. ადვოკატის განმარტებით, გიორგი ფცქიალაძესა და ნუნუ ხარაზიშვილს შორის მაისის დასაწყისში წარმოიშვა უთანხმოება, თანხის გადახდასთან დაკავშირებით, რის გამოც მან გიორგი ფცქიალაძეს სთხოვა შეეწყვიტა მასთან ურთიერთობა. 2021 წლის 10 მაისს გიორგი ფცქიალაძემ გააუქმა მინდობილობა.

2.5 ნუნუ ხარაზიშვილმა სანოტარო წესით მიიღო მემკვიდრეობა - 2021 წლის 26 მაისს. საჯარო რეესტრში ქონება გაფორმდა ნუნუ ხარაზიშვილის სახელზე. ამის შემდეგ, ადვოკატს დაურეკა გიორგი ფცქიალაძემ და განუმარტა, რომ როგორც შეთანხმებულები

იყვნენ, ადვოკატს უზრუნველეყო ქონების მის სახელზე გადაფორმება. ადვოკატმა განუმარტა, რომ ჯერ დაეკითხებოდა ნუნუ ხარაზიშვილს, გაიგებდა მის პოზიციას და ამის შემდეგ მოხდებოდა სახლის გადაფორმება. ადვოკატმა ნუნუ ხარაზიშვილს გააცნო გიორგი ფცქიალაძის სურვილი, თუმცა ამჯერად ნუნუ ხარაზიშვილი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო, რომ სახლი გაფორმებულიყო გიორგი ფცქიალაძის სახელზე. ნუნუ ხარაზიშვილმა ადვოკატს განუმარტა, რომ სახლის გასაყიდი ღირებულების შესახებ ინფორმაცია შეიტყო თავისი ნათესავის დახმარებით, თავად გიორგი ფცქიალაძისაგან. ადვოკატმა ნუნუ ხარაზიშვილის პოზიცია გადასცა გიორგი ფცქიალაძეს და უთხრა, რომ მასთან გაერკვია საკითხი.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მომჩივანის მითითება თითქოს ის ემუქრება თანხის მოთხოვნით, რეალობას არ შეესაბამება.

2.7 ადვოკატი განმარტავს, რომ გიორგი ფცქიალაძეს არასდროს უთქვამს მისთვის, თუ რა იყოს სახლის გასაყიდი ღირებულება, რასაც არც მომჩივანი უარყოფს. ადვოკატის განმარტებით, ნუნუ ხარაზიშვილმა როდესაც შეიტყო, რომ გიორგი ფცქიალაძე სახლს ყიდდა 40.000 აშშ დოლარად (მანამდე ნუნუ ხარაზიშვილს ჰქონდა ინფორმაცია, რომ გიორგი ფცქიალაძე სახლს ყიდდა 7.000 აშშ დოლარად), მის მიმართ გაუჩნდა პრეტენზია. ადვოკატმა განმარტა, რომ ეს ინფორმაცია ნუნუ ხარაზიშვილს მისგან არ მიუღია.

2.8 ადვოკატის განმარტებით, როცა მხარეთა შორის თანხიდან გამომდინარე უკმაყოფილება წარმოიშვა, მაშინვე შეუწყვიტა მომსახურება გიორგი ფქციალაძეს. მანამდე, ორივე მხარეს უწევდა მომსახურებას, მათივე საერთო ინტერესიდან გამომდინარე. გიორგი ფცქიალაძესთან მომსახურების შეწყვეტის შემდეგ, ადვოკატი მომსახურებას უწევდა ნუნუ ხარაზიშვილს სასამართლო წარმოების წესით. კერძოდ, ნუნუ ხარაზიშვილის სახელით სარჩელი აღძრა 2021 წლის 14 ივლისს - უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით. 28 მარტს სასამართლომ დააკმაყოფილა მისი კლიენტის ნუნუ ხარაზიშვილის მოთხოვნა გიორგი ფცქიალაძის მიმართ.

2.9 განხილვის კოლეგიის 2022 წლის 12 ოქტომბრის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ გიორგი ფცქიალაძეს ამ საქმესთან დაკავშირებით შეხვდა 3-5 ჯერ. ადვოკატმა განმარტა, რომ გიორგი ფცქიალაძე მასთან მიიყვანა გოჩა გელაშვილმა და სთხოვა, რომ დახმარებოდა სახლის გაფორმებაში. გიორგი ფცქიალაძეს სახლთან დაკავშირებით არ ჰქონდა არანაირი დოკუმენტი. ადვოკატმა განუმარტა, რომ ამ ქონებასთან დაკავშირებით დოკუმენტაციას თავად მოიძიებდა საჯარო რეესტრში.

2.10 ადვოკატის განმარტებით, მას გიორგი ფცქიალაძესთან კონფლიქტი არ ჰქონია, რადგან მას არ შეთანხმებია და არ მოლაპარაკებია სამართლებრივ მომსახურებაზე. გიორგი ფცქიალაძესთან გასამრჯელოზე საუბარი არ ჰქონია - ის საადვოკატო მომსახურების ჰონორარზე ესაუბრა გოჩა გელაშვილს, რომელსაც მისთვის გარკვეული თანხა უნდა გადაეხადა მას შემდეგ, რაც სახლი გაფორმდებოდა გიორგი ფცქიალაძის სახელზე ან სახლს შეიძენდა გოჩა გელაშვილი.

2.11 კოლეგიის წევრთა კითხვებიდან გამომდინარე, ადვოკატმა დააკონკრეტა, რომ მისი მომსახურება უნდა მიეღო გიორგი ფცქიალაძეს, გოჩა გელაშვილის სურვილის შესაბამისად. ასევე, ადვოკატი ნუნუ ხარაზიშვილს დაეხმარა მემკვიდრეობის მიღებაში.

2.12 ადვოკატი ადასტურებს, რომ გიორგი ფცქიალაძისაგან მიიღო რწმუნებულება, რწმუნებულების გაუქმების შესახებ სანოტარო აქტი და სახლის აზომვითი ნახაზები შესაბამისი დისკით, თუმცა მისი განმარტებით, მას გიორგი ფცქიალაძისაგან რაიმე სახის კონფიდენციალური ინფორმაცია/დოკუმენტი, არ მიუღია.

2.13 განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა იშუამდგომლა მოწმის სახით გოჩა გელაშვილის გამოკითხვის შესახებ, კოლეგიამ შუამდგომლობა დააკმაყოფილა, თუმცა მოპასუხე ადვოკატმა მოწმის წარმოდგენა ვერ შეძლო.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2022 წლის 23 ივნისს მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ზურაბ ელიაშვილის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაადგინა, რომ მოპასუხე ადვოკატმა დაარღვია ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის და ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ეთიკური ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1(ა); ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 4.1, 4.3, 6.1, 6.2, 6.5), რადგან, ადვოკატი ზურაბ ელიაშვილი კლიენტის - გიორგი ფცქიალაძის წარმომადგენლობის პერიოდში საადვოკატო მომსახურებას უწევდა ასევე - ნუნუ ხარაზიშვილს და აღნიშნული ორი კლიენტის ინტერესებს შორის კონფლიქტის წარმოქმნის შემდეგ, ადვოკატმა შეწყვიტა გიორგი ფცქიალაძის მომსახურება, თუმცა გააგრძელა მეორე კლიენტის - ნუნუ ხარაზიშვილის წარმომადგენლობა - ყოფილი კლიენტის - გიორგი ფცქიალაძის საწინააღმდეგოდ; ასევე, ადვოკატმა გაამჟღავნა კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

5.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

5.1.1 ადვოკატი ზურაბ ელიაშვილი, ზეპირი შეთანხმების ფარგლებში, უნდა დახმარებოდა გიორგი ფცქიალაძეს რათა უძრავი ქონება, საცხოვრებელი სახლი (მისამართი- ხაშური, ჭონქაძის ქ. N80), აღრიცხულიყო გიორგი ფცქიალაძის სახელზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის, შემდეგში -„ეთიკის კომისიის“ განხილვის 2022 წლის 29 სექტემბრისა და 12 ოქტომბრის სხდომის ოქმი).

5.1.2 გიორგი ფცქიალაძეს, საცხოვრებელი სახლი რეგისტრაციის შემდეგ უნდა მიეყიდა გოჩა გელაშვილისათვის, 42.000 აშშ დოლარად.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- მხარეთა ახსნა-განმარტება (ეთიკის კომისიის განხილვის 2022 წლის 29 სექტემბრისა და 12 ოქტომბრის სხდომის ოქმი).

5.1.3 ადვოკატმა გიორგი ფცქიალაძისაგან 2020 წლის 04 დეკემბერს მიიღო მინდობილობა და სახლის აზომვითი ნახაზი, CD დისკის სახით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება;
- მინდობილობა N200989147.

5.1.4 საქმის მასალების კვლევის პროცესში ადვოკატმა შეიტყო, რომ მის კლიენტს, გიორგი ფცქიალაძეს სახლი უნდა გადაეფორმებინა ნუნუ ხარაზიშვილისაგან, ხოლო ეს პიროვნება იყო ადვოკატის კლასელი. მხარეები თანხმდებიან, რომ აღნიშნული ნაცნობობის შესახებ კლიენტი ადვოკატისაგან ფლობდა ინფორმაციას და პრეტენზია არ გამოუთქვამს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება (ეთიკის კომისიის განხილვის 2022 წლის 29 სექტემბრისა და 12 ოქტომბრის სხდომის ოქმი).

5.1.5 ადვოკატმა ზურაბ ელიაშვილმა, როგორც გიორგი ფცქიალაძის წარმომადგენელმა შეიტანა განცხადება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მოითხოვა ხაშურის გამგეობაში არსებულ აღიარების კომისიაში დოკუმენტაციის გადაგზავნა. გიორგი ფცქიალაძემ, თავისი სურვილით, განცხადება და მასალები უკან გამოითხოვა, რადგან არ დაეთანხმა ადვოკატის სტრატეგიას.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- მხარეთა ახსნა-განმარტება (ეთიკის კომისიის განხილვის 2022 წლის 29 სექტემბრისა და 12 ოქტომბრის სხდომის ოქმი).

5.1.6 ადვოკატმა საცხოვრებელი სახლის (მისამართი - ხაშური, ჭონქაძის ქ. N80), ფორმალური მესაკუთრისაგან - ნუნუ ხარაზიშვილისაგან მინდობილობა მიიღო 2021 წლის 10 მარტს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- მოპასუხის ახსნა-განმარტება;
- 2021 წლის 10 მარტის მინდობილობა.

5.1.7 ადვოკატ ზურაბ ელიაშვილის საადვოკატო მომსახურების შედეგად, 2021 წლის 26 მაისს ნუნუ ხარაზიშვილმა მიიღო სამკვიდრო და საცხოვრებელი სახლი საჯარო რეესტრში აღირიცხა მის სახელზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება (ეთიკის კომისიის განხილვის 2022 წლის 29 სექტემბრისა და 12 ოქტომბრის სხდომის ოქმი).

5.1.8 გიორგი ფცქიალაძემ მოპასუხე ადვოკატს მინდობილობა გაუუქმა 2021 წლის 10 მაისს.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებას:

- მხარეთა ახსნა-განმარტება;
- სანოტარო დოკუმენტი მინდობილობის გაუქმების შესახებ N210446820.

5.1.9 2021 წლის 14 ივლისს ადვოკატმა ზურაბ ელიაშვილმა, როგორც ნუნუ ხარაზიშვილის წარმომადგენელმა, სარჩელი შეიტანა სასამართლოში 2021 წლის 14 ივლისს - უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით, მოპასუხე - გიორგი ფცქიალაძის

წინააღმდეგ. 28 მარტს სასამართლომ დააკმაყოფილა ზურაბ ელიაშვილის კლიენტის ნუნუ ხარაზიშვილის მოთხოვნა გიორგი ფცქიალაძის მიმართ. აღნიშნულ სამოქალაქო დავას ამჟამად განიხილვას თბილისის სააპელაციო სასამართლო.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება (ეთიკის კომისიის განხილვის 2022 წლის 29 სექტემბრისა და 12 ოქტომბრის სხდომის ოქმი);
- ხაშურის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე N2-634-21.

5.1.10 ადვოკატ ზურაბ ელიაშვილს გიორგი ფცქიალაძისაგან საადვოკატო მომსახურების ჰონორარი არ მიუღია.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- მხარეთა ახსნა-განმატება (ეთიკის კომისიის განხილვის 2022 წლის 29 სექტემბრისა და 12 ოქტომბრის სხდომის ოქმი);

5.2 სადავო ფაქტები:

განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი სადავო ფაქტი:

5.2.1 მხარეთა შორის სადავოა, გადასცა თუ არა ადვოკატმა ერთი კლიენტის - გიორგი ფცქიალაძის კონფიდენციალური ინფორმაცია (სახლის გასაყიდი ფასი) მეორე კლიენტს - ნუნუ ხარაზიშვილს.

5.2.2 გიორგი ფცქიალაძე განმარტავს, რომ ნუნუ ხარაზიშვილთან ურთიერთობის დაძაბვა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ადვოკატმა ნუნუ ხარაზიშვილს გაანდო ინფორმაცია, რომ გოჩა გელაშვილი გეგმავდა სახლის შეძენას - 42.000 აშშ დოლარად. ადვოკატის განმარტებით, მას ეს ინფორმაცია ნუნუ ხარაზიშვილისათვის არ გადაუცია, რადგან თავადაც არ იცოდა. მოგვიანებით, მან ეს ინფორმაცია თავად ნუნუ ხარაზიშვილისაგან შეიტყო. ეთიკის კომისიის შეფასებით, იმისათვის, რომ დისციპლინურ საქმეში დადგინდეს ადვოკატის მხრიდან კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევა, მომჩივანმა მხარემ უნდა დაადასტუროს, რომ ის ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაზეც ედავება ადვოკატს, კონფიდენციალური იყო და სწორედ ადვოკატმა გაამჟღავნა ის კლიენტის თანხმობის გარეშე. მას შემდეგ, რაც ამ ორ ფაქტს - (1) ინფორმაციის კონფიდენციალობას და (2) ადვოკატის მხრიდან ამ ინფორმაციის გამჟღავნებას დაადასტურებს მომჩივანი, მტკიცების ტვირთი გადადის ადვოკატზე, რომელმაც უნდა დაასაბუთოს იმ საგამონაკლისო წესის არსებობა, რომელიც კონფიდენციალობის ვალდებულების დარღვევის მიუხედავად, გამორიცხავს ადვოკატის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, მაგ. კლიენტის თანხმობა, ადვოკატისათვის წარდგენილი მოთხოვნისა თუ ბრალდებისაგან თავის დაცვა და ა.შ. (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 10.7). შესაბამისად, მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის მიხედვით, ადვოკატის მხრიდან კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების თაობაზე მტკიცების ტვირთი აკისრია მომჩივანს, რომელიც ამტკიცებს, რომ ადვოკატმა დაარღვია კონფიდენციალობის ვალდებულება და არა ადვოკატს, რომელიც უარყოფს ამ ფაქტს. 2022 წლის 12 ოქტომბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე გიორგი ფცქიალაძემ დაადასტურა, რომ ადვოკატისათვის ინფორმაცია სახლის გასაყიდი თანხის ოდენობის შესახებ არ უთქვამს, ამ ინფორმაციას ფლობდა გოჩა გელაშვილი -

მყიდველი და გოჩა არბოლიშვილი, ნუნუ ხარაზიშვილის ბიძაშვილი. თუმცა, მომჩივანის ვარაუდით, ადვოკატმა სადავო ქონების გასაყიდი ღირებულების ოდენობის შესახებ ინფორმაცია მიიღო გოჩასგან და უთხრა მოწინააღმდეგე მხარეს - ნუნუ ხარაზიშვილს, რის შემდეგაც, მათ შორის დაიძაბა ურთიერთობა. კომისიის განმარტებით, ვარაუდი, თუნდაც ის კონკრეტულ საფუძველს ემყარებოდეს, ვერ გახდება ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, რადგან ამისათვის აუცილებელია მტკიცების ბევრად მაღალი სტანდარტის - სარწმუნო მტკიცების სტანდარტის დაკმაყოფილება. მომჩივანმა მხარემ ვერ წარმოადგინა სარწმუნო მტკიცებულება, რომელიც ადვოკატის მხრიდან ამ ინფორმაციის ფლობასა და ადვოკატის მეშვეობით ამ ინფორმაციის გამჟღავნებას დაადასტურებდა. შესაბამისად, კომისიის შეფასებით, არ დასტურდება ადვოკატის მიერ სახლის ღირებულების შესახებ ინფორმაციის მოწინააღმდეგე მხარისათვის (ნუნუ ხარაზიშვილისათვის) გამჟღავნების ფაქტი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება (ეთიკის კომისიის განხილვის 2022 წლის 29 სექტემბრისა და 12 ოქტომბრის სხდომის ოქმი).

5. შემაჯამებელი დასკვნა

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა განმარტებები, საქმეში არსებული მტკიცებულებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ზურაბ ელიაშვილის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა - დარღვეულია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (შემდეგში - „ეთიკის კოდექსი“), მუხლები: 6.1, 6.2.(ა), 6.5).

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია საკითხს აფასებს იმ ფარგლებში, როგორც აღძრული აქვს საპროცესო კოლეგიას, შესაბამისად, კოლეგიამ არ იმსჯელა ადვოკატის მხრიდან კლიენტის ინფორმირების, კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულების შესაძლო დარღვევაზე, რადგან ამ ნაწილში არ იყო აღძრული დისციპლინური დევნა საქმისწარმოების საპროცესო ეტაპზე.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატი ზურაბ ელიაშვილი მომსახურებას უწევდა გიორგი ფცქიალაძესა და ნუნუ ხარაზიშვილს, რომელთა შორის ინტერესთა დაპირისპირების შემდეგ, ადვოკატმა გააგრძელა ნუნუ ხარაზიშვილის მომსახურება ყოფილი კლიენტის, გიორგი ფცქიალაძის მიმართ, იმავე ქონებასთან დაკავშირებულ საქმეში, სადაც მას უწევდა საადვოკატო მომსახურებას. შესაბამისად, ადვოკატის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

6.2.1 ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1).

6.2.2 ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი

ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდეგში - „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 6.1).

6.2.3 ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე (ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.2(ა)).

6.2.4 ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე (ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.5).

6.2 ადვოკატი ვერ შეძლებს პარალელურად ორი კლიენტის ინტერესების დაცვას თუ ისინი პროცესუალურ მოწინააღმდეგეებს წარმოადგენენ. ეთიკის კომისიამ საქმეში N015/10 2011 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ „ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ორივე ინტერესის (კონფიდენციალობისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა) დაცვა თანაბრად მნიშვნელოვანია და ადვოკატმა თავი უნდა აარიდოს შემთხვევებს, როდესაც შესაძლოა საფრთხის ქვეშ დადგეს ერთ-ერთი ინტერესი“. „კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს“ (ეთიკის კომისიის 2015 წლის 06 აგვისტოს გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №079/14).

6.3 კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია ფაქტები, რომ ადვოკატ ზურაბ ელიაშვილსა და გიორგი ფქიალაძეს შორის დაიდო საადვოკატო მომსახურების შეთანხმება ზეპირი ფორმით, რომლის მიხედვითაც ადვოკატმა კლიენტისაგან მიიღო დავალება - დაერეგისტირირებინა უძრავი ქონება, მდებარე - ქ. ხაშურში, ჭონქაძის ქუჩა N80, კლიენტის - გიორგი ფქიალაძის სახელზე. ზურაბ ელიაშვილმა კლიენტს გაუწია კონსულტაცია და მათ შორის 2020 წლის 04 დეკემბერს გაფორმდა მინდობილობა (N200989147). ადვოკატმა შეიმუშავა საქმის წარმართვის სტრატეგია - სახლი უნდა დარეგისტრირებულიყო ნუნუ ხარაზიშვილის სახელზე, მემკვიდრეობის მიღების გზით და შემდეგ მოხდებოდა ამავე სახლის გადაფორმება გიორგი ფქიალაძის სახელზე. ამავდროულად, ადვოკატი შეუთანხმდა ნუნუ ხარაზიშვილს საადვოკატო მომსახურებაზე. კერძოდ, მიიღო მისგან მინდობილობა და სამართლებრივად დაეხმარა სადავო სახლის ნუნუ ხარაზიშვილზე რეგისტრაციის პროცესში. ადვოკატის ჩართულობით, ნუნუ ხარაზიშვილმა ნოტარიულად მიიღო ქ. ხაშურში, ჭონქაძის ქუჩაზე მდებარე სამკვიდრო 2021 წლის 26 მაისს.

6.4 ამავდროულად, მას შემდეგ, რაც ნუნუ ხარაზიშვილმა გადაიფიქრა სადავო ქონების გიორგი ფქიალაძეზე გადაფორმება, ადვოკატმა გააგრძელა საადვოკატო მომსახურება ნუნუ ხარაზიშვილის სასარგებლოდ მეორე კლიენტის - გიორგი ფქიალაძის წინააღმდეგ. კერძოდ, ადვოკატ ზურაბ ელიაშვილის ორ კლიენტს, ნუნუ ხარაზიშვილისა და გიორგი ფქიალაძეს შორის ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის შემდეგ, ადვოკატმა იმოქმედა ერთი კლიენტის ინტერესის სასარგებლოდ - გააგრძელა ნუნუ ხარაზიშვილის

წარმომადგენლობა სასამართლოში მეორე კლიენტის - გიორგი ფცქიალაძის საწინააღმდეგოდ. ადვოკატმა, როგორც ნუნუ ხარაზიშვილის წარმომადგენელმა, სარჩელით მიმართა სასამართლოს გიორგი ფცქიალაძის მიმართ და მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, ხელშეშლის აღკვეთა (საქმე N2-634-21).

6.5 ორ კლიენტს შორის, ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობისას, ნაცვლად იმისა, რომ ადვოკატს შეეწყვიტა ორივე კლიენტის მომსახურება, ადვოკატმა ზურაბ ელიაშვილმა შეწყვიტა გიორგი ფცქიალაძის წარმომადგენლობა და გააგრძელა საადვოკატო მომსახურება მეორე კლიენტის - ნუნუ ხარაზიშვილის სასარგებლოდ, გიორგი ფცქიალაძის ინტერესის საწინააღმდეგო დავაში. შესაბამისად, კოლეგიის შეფასებით, ადვოკატმა დაარღვია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების ეთიკური ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 8.1 მუხლი; ეთიკის კოდექსი, 6.1, 6.2.(ა) და 6.5 მუხლები).

6.6 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ვერ დასტურდება ადვოკატ ზურაბ ელიაშვილის მიერ კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის გადაცემა პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარისათვის. ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ფარგლებში ეთიკის კომისიამ შეაფასა შემდეგი ნორმები:

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება გასული დროის მიუხედავად (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1(ა)).

ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით (ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.1).

ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტის წინააღმდეგ; საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს (ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.3).

6.7 განხილვის კომისია ვერ დაეთანხმება მოპასუხე ადვოკატს იმ შეფასებაში, რომ წარმომადგენლობის პროცესში კლიენტის საქმესთან დაკავშირებით მიღებული რწმუნებულება, რწმუნებულების გაუქმების შესახებ სანოტარო აქტი და სახლის აზომვითი ნახაზი შესაბამისი დისკით არ წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. კომისიის შეფასებით, ეს ინფორმაცია/დოკუმენტები არის კონფიდენციალური, რადგან ადვოკატისათვის ის ცნობილი გახდა კლიენტის - გიორგი ფცქიალაძის წარმომადგენლობის პროცესში, უკავშირდებოდა კლიენტის საქმეს და არ იყო საჯარო. შესაბამისად, ეს ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. თუმცა, მომჩივან მხარეს არ აქვს პრეტენზია ამ ინფორმაციის გამჟღავნებაზე. მომჩივანი მოპასუხე ადვოკატს ედავება სახლის ღირებულების თაობაზე ინფორმაციის მოწინააღმდეგე მხარისათვის გადაცემის ფაქტზე, რაც მისი შეფასებით, გახდა მოწინააღმდეგე მხარესთან ურთიერთობის დაძაბვის ძირითადი მიზეზი.

აღნიშნული პრეტენზიის ნაწილში მტკიცების ტვირთი აკისრია მომჩივან მხარეს (იხ. პარ. 5.2.2).

6.8 მომჩივანმა ეთიკის კომისიას ვერ წარმოუდგინა სარწმუნო მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოპასუხე ადვოკატის მხრიდან სახლის ნასყიდობის გარიგების შინაარსისა და ფასის თაობაზე კონფიდენციალური ინფორმაციის მომჩივანის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარისათვის გამჟღავნებას. შესაბამისად, ვერ დასტურდება ადვოკატ ზურაბ ელიაშვილის მხრიდან კონფიდენციალობის ეთიკური ვალდებულების დარღვევა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1(ა), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 4.1 და 4.3).

6.9 განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ზურაბ ელიაშვილის მიერ დარღვეულია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების ეთიკური ვალდებულება, რის გამოც მას უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა - სახდელი გაფრთხილების სახით.

6.10 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი.

6.11 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“.

6.12 მოცემულ შემთხვევაში, დისციპლინური სახდელის ფორმის განსაზღვრისას ეთიკის კომისია ითვალისწინებს, რომ ადვოკატს არ აქვს დაკისრებული რაიმე სახის გაუქარწყლებელი სახდელი, გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისთვის, თუმცა გადაცდომა, თავისი ბუნებით არის საკმაოდ მძიმე, რომელიც აზიანებს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში არსებულ ნდობას, რადგან ლოიალობის/ერთგულების ვალდებულებაზე დგას ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. შესაბამისად, კონფლიქტის დროს ერთ-ერთი კლიენტის არჩევა და მისი წარმომადგენლობა მეორე კლიენტის წინააღმდეგ - არსებითად ურთიერთდაკავშირებულ დავაში (სასამართლოში იმ ბინიდან კლიენტის გამოსახლების მოთხოვნის წარდგენა, რომლის დაკანონებაშიც უწევდა ადვოკატი სამართლებრივ მომსახურებას კლიენტს), აზიანებს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოების ნდობას, რისი დაცვაც თვითრეგულირებად პროფესიაში ეთიკური სტანდარტების დანერგვის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს. სახდელის დაკისრებისას, ეთიკის კომისია ასევე ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატის ეთიკურ გადაცდომას ჰქონდა განგრძობადი ხასიათი - ადვოკატი ერთი კლიენტის წარმომადგენლობას, ყოფილი კლიენტის მიმართ, იმავე დავის საგნის ფარგლებში, აგრძელებდა ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის შემდეგაც. ადვოკატმა ვერ გააცნობიერა გადაცდომის შინაარსი, მისი სიმძიმე, რაც ნაკლებ სავარაუდოს გახდის მომავალში ამ სახის გადაცდომების პრევენციას. ეთიკის კომისია, ასევე ითვალისწინებს

ერთგვაროვან პრაქტიკას (დისციპლინური საქმე N024/19, 28.07.20; დისციპლინური საქმე N093/19, 17.05.21; დისციპლინური საქმე N062/19, 02.11.20; დისციპლინური საქმე N059/19, 12.10.20), რომლის მიხედვითაც მსგავს გადაცდომებზე ადვოკატს დაკისრებული აქვს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება. შესაბამისად, ეთიკის კომისიის შეფასებით, ამ პირობებში, კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვით ვერ იქნება ქმედითი დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმა, რის გამოც, ადვოკატ ზურაბ ელიაშვილის მიმართ გამოყენებული უნდა იქნას დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება, რომელიც არის მისი ქმედების პროპორციული პასუხისმგებლობის ფორმა.

6.13 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34.1(ა) მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35– ე მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №036/22 დადგინდეს ადვოკატ ზურაბ ელიაშვილის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.
2. ადვოკატ ზურაბ ელიაშვილს /სიითი №6014/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვროს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.
3. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
4. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ზესიკ ქარცივაძე/

კოლეგიის წევრი: /ნათია ჩიტაშვილი/